

კვლევის, შეფუთავებისა და ინოვაციის პოლიტიკა: წინადადებები და რეკომენდაციები

(საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ
შეთანხმებიდან გამომდინარე)

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე



2016

**კვლევის, შემუშავებისა და ინოვაციის პოლიტიკა:
წინადადებები და რეკომენდაციები**

(საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ
შეთანხმებიდან გამომდინარე)

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე

ავტორები: გივი ქორაძე, ოლეგ შატბერაშვილი



აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა არის საქართველოში რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო არაკომერციული იურიდიული პირების გაერთიანება, რომლებიც მიზნად ისახავენ აღმოსავლეთ პარტნიორობის პრალის, ვარშავისა და ვილნიუსის სამიტების ერთობლივი დეკლარაციებითა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით და სხვა ერთობლივი ღონისძიებებით განსაზღვრული მიზნების განხორციელების ხელშეწყობას.

Eastern Partnership Civil Society Forum Georgian National Platform is an association of local and international non-commercial legal entities registered in Georgia, aiming to promote and implement the goals set by the Joint Declarations of the Prague, Warsaw and Vilnius Eastern Partnership Summits and the EU-Georgia Association Agreement of European Neighborhood Policy and other joint events.

ავტორები: გივი ქოჩორაძე, ოლეგ შატბერაშვილი

რედაქტორი: თეა ბარამაშვილი

© აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

წარმოდგენილი რეკომენდაციები მესამეა საინოვაციო პოლიტიკის თემაზე ყოველ სამ წელიწადში მომზადებულ რეკომენდაციათა სერიაში. 6 წლის წინ მონიშნული განსახილველ საკითხთა საერთო წრე უცვლელი რჩება, ვინაიდან იგი საერთაშორისო, კერძოდ, ევროპული გამოცდილებიდან გამომდინარეობს. ყოველ რეკომენდაციაში ძირითადი აქცენტი მოცემული დროის მონაკვეთისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე კეთდება. წინამდებარე დოკუმენტში ყურადღება კვლევითი სისტემის პრობლემებზეა გამახვილებული. აგრეთვე, კვლევის, შემუშავებისა და ინოვაციის (კ&მ&ი) სფეროს საერთო მართვაზე.

კ&მ&ი საკითხები საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების სტრატეგიის ორგანული ნაწილია. ისინი ჩართულია ევროინტეგრაციასთან დაკავშირებულ ყველა ფუძემდებელ დოკუმენტში, კერძოდ: 1. ასოცირების შესახებ ხელშეკრულება (ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part); 2. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი; 3. ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების წლიური ეროვნული სამოქმედო გეგმები; 4. ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA); 5. საქართველოს სამოქმედო გეგმა ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელებისათვის 2014 – 2017.

ყველა ამ დოკუმენტში არის სპეციალური თავი „თანამშრომლობა კვლევის, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების სფეროში“. გარდა ამისა, ეს საკითხები ჩართულია სხვა კარებსა და თავებში (მაგალითად, **standardisation, metrology, accreditation and conformity assessment**, ასევე თავებში, რომელიც ეხება ტრანსპორტის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვისა და სხვა სისტემებს).

კ&მ&ი სისტემის ჩამოყალიბება წარმატებულ სახელმწიფოებში (კერძოდ, ევროკავშირში შემავალ სახელმწიფოებსა და მთლიანად ევროკავშირში) წარმოებს შესაბამისი პოლიტიკის საფუძველზე. პოლიტიკის ხარისხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმატებული განვითარებისთვის. იგი ნებისმიერი დარგობრივი პოლიტიკის ხარისხზე მნიშვნელოვანია, ზოგიერთი დარგის ხარისხს კი თითქმის მთლიანად განსაზღვრავს (მაგალითად, განათლების).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კ&მ&ი სფეროში საქართველომ უარი თქვა ნეოლიბერალურ პარადიგმაზე „არავითარი პოლიტიკა“ (ანუ „ბაზარი დაალაგებს ყველაფერს“), რომელიც განსაკუთრებით საშიშია. ამან უარყოფითად იმოქმედა ჩვენი ქვეყნის ინოვაციური განვითარების უზრუნველმყოფი სისტემის მდგომარეობაზე, რომლის შემადგენელი ნაწილებია განათლების, კვლევისა და კვლევითი მომსახურების სისტემები (ეს უკანასკნელი მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ინფორმაციის, სტანდარტიზაციის, სასოფლო-სამეურნეო გამოცდის, ხარისხის მართვის, გეოლოგიის,

მეტროლოგიის, მეტეოროლოგიის, ჰიდროლოგიის, სეისმოლოგიისა და მრავალ სხვა სამსახურს). ქვეყანაში უკვე იგრძნობა საინჟინრო და სპეციალური განათლების მქონე კადრების დეფიციტი.

სამწუხაროდ, ჯერ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ უფრო მაღალ ეტაპზე – „განვითარება საინოვაციო პოლიტიკის საფუძველზე“ გადავდით, ვინაიდან ვხედავთ, რომ უმთავრესი გადანყვეტილებები მიიღება საერთო სტრატეგიის შემუშავების გარეშე, ოპორტუნისტული მოსაზრებების საფუძველზე. ამ ეტაპს წინა რეკომენდაციებში (2013) დავარქვით „ხელისუფლება ინოვაციურ განვითარებას ემხრობა“.

მეცნიერებით უზრუნველყოფაში განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს იმ დარგებში, სადაც განვითარების კარგი პერსპექტივებია, მაგალითად: კვების მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ენერგეტიკაში, მშენებლობაში. კვლევაზე განუვლი ხარჯების დონე 10-40-ჯერ ჩამორჩება მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს, რომ არაფერი ვთქვათ მონინავე ქვეყნებზე. ეს ფაქტი უნდა გავითვალისწინოთ კვლევითი სისტემის გაძლიერების პროცესში. არ შეიძლება მექანიკური კრიტერიუმებით ხელმძღვანელობა, რასაც ზოგი „რეფორმატორი“ გვთავაზობს.

მოვალეობად მიგვაჩნია, მივმართოთ ხელისუფლებას თხოვნით:

1. არ დაუშვას ინსტიტუტების შეფასების საკითხში აჩქარება და არამართლზომიერი კრიტერიუმების გამოყენება;
2. რაც შეიძლება სწრაფად აამოქმედოს სამეცნიერო საქმიანობისა და სამეცნიერო პროდუქციის აღრიცხვის ეროვნული სისტემა, რომელიც დაგეგმვისა და გაზომვის/შეფასების საშუალებას მოგვცემს;
3. აღუდგინოს ყველა ინსტიტუტს წართმეული იურიდიული პირის სტატუსი, რათა ყველას მიეცეს უფრო ეფექტიანად მუშაობის საშუალება;
4. დასვას მთლიანად კვლევითი სისტემისა და ცალკეული ინსტიტუტების წინაშე საქართველოს განვითარებასთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანები (შემუშავებული მეცნიერებთან ერთად, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად);
5. საჭიროების შემთხვევაში, ინსტიტუტების შერწყმის ან ახალი ინსტიტუტების დაფუძნების დროს იხელმძღვანელოს პ.4-ში ჩამოყალიბებული ამოცანებით;
6. განსაზღვროს და დაამტკიცოს მეცნიერების დაფინანსების დონის ზრდის ისეთი ტემპი, რომელიც ევროინტეგრაციის პროცესს პასუხობს;
7. გადადოს ინსტიტუტების შეფასება იმ პერიოდისთვის, როდესაც ხელშესახები იქნება პ.4-ში აღნიშნული დავალებების შესრულების შედეგები.

საზოგადოდ კი, ხელისუფლებამ კვლევის, შემუშავებისა და ინოვაციის სფეროში საერთაშორისო (უპირველესად, ევროპული) პრაქტიკიდან გამომდინარე, შემდეგი ღონისძიებები უნდა გაატაროს:

1. კვლევის, შემუშავებისა და ინოვაციის სფეროს მართვა ერთ უწყებაში მოაქციოს (ევროპული მოდელის მიხედვით. დღეს ის ორ სამინისტროს აქვს გაყოფილი);
2. შეიმუშაოს და დაამტკიცოს საქართველოს ინოვაციური განვითარების სტრატეგია, რომელიც მისი ყველა ქვესისტემის დაბალანსებას მოემსახურება;
3. შეიმუშაოს კვლევითი და საინოვაციო საქმიანობის შესახებ ახალი კანონი (კანონთა სისტემა), რომელშიც ამ საქმიანობის ყველა მხარე იქნება დაბალანსებული.

იმედს გამოვთქვამთ, რომ არჩევნების შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტი და მთავრობა სათანადო ყურადღებას მიაქცევენ ჩვენს რეკომენდაციებს და მოსთხოვენ განათლების სამინისტროსა და ეკონომიკის სამინისტროს, ისევე, როგორც სხვა სამინისტროებს, დაეყრდნონ ევროკავშირისა და EaP სხვა ქვეყნების გამოცდილებას.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა

ტელ.: +995 32 293 11 28

მობ.: +995 570 10 44 90; +995 570 10 15 28

ელ-ფოსტა: np@ei-lat.ge

ვებგვერდი: eap-csf.ge